



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის
სამინისტრო
**MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF
GEORGIA**



KA060123505396517

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

7412

22 / აგვისტო / 2017 წ.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრის პროგრამის
კოორდინატორს ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიმდინარე წლის 9 აგვისტოს შემოსული #3-13 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლის 06 ოქტომბერს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოდან შემოსული No09/863 წერილის საფუძველზე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა წერილში მითითებულ ტერიტორიაზე არსებული ობიექტების შესწავლა-დათვალიერება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ინფორმაცია წარმოგიდგინეთ დეპარტამენტის 2017 წლის 4 აგვისტოს # 6951 წერილით.

ასევე, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის ფარგლებში, ყოველწლიურად განხორციელებული სხვადასხვა დასახელების სურსათში ტოქსიკური ელემენტების (მათ შორის ტყვიის) შემცველობის განსაზღვრის და კვლევის შედეგების თაობაზე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს ეცნობა 2017 წლის 14 ივლისს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს No09/6886 წერილით. აგრეთვე, 2017 წლის 12 ივლისს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაცია საქართველოს ბაზარზე აღმოჩენილ სუნელებში ტყვიის გადაჭარბებული ოდენობის აღმოჩენისა და კვლევის შედეგები, დეპარტამენტში ასევე წარმოდგენილი იქნა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 14 ივლისის No09/6886 წერილით (დეპარტამენტში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: No50101, 20.07. 2017წ.).

2017 წლის 21 აგვისტოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს (დეპარტამენტში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: No59711, 21.08.2017წ) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს No09/7869 წერილით ეცნობა ასევე მსხვილფეხა პირუტყვის ხორცის 34 ნიმუშში აღმოჩენილი ტყვიის დასაშვებ ნორმაზე მაღალი შემცველობის ფაქტის გამოვლენის თაობაზე.

აქვე გაცნობებთ, რომ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ზემოაღნიშნულ წერილებში მითითებული ფაქტების საფუძველზე, დაბინძურების შესაძლო წყაროების დადგენის მიზნით, ინფორმაცია გადაეგზავნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოებს.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დეპარტამენტი დაბინძურების შესაძლო წყაროების იდენტიფიცირების

მიზნით განახორციელებს საკითხის შესწავლას და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში გაატარებს შესაბამის რეაგირებას.

დამატებითი ინფორმაციის მოწოდების მიზნით, მზად ვართ თანამშრომლებისათვის.

პატივისცემით,

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი



ეკატერინე ბენდელიანი